

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია
სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლა	ნინო კანიაშვილი

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საქმიანობაზე	
აღწერეთ, რატომ გასურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	✶ სკოლის ბიბლიოთეკაში ფინედუს კუთხის დამატება მოსწავლეებისათვის იქნება თვალსაჩინოება, მოტივაციის გამზრდელი ფინანსური წიგნიერების გასაცნობად. ასევე მასწავლებლისთვის იქნება მატერიალური რესურსი და მამოტივირებელი, რათა მოსწავლეებთან დაგეგმონ შესაბამისი აქტივობები, გაკვეთილებისა თუ პროექტების სახით; ✶ ფინანსური წიგნების კუთხე სკოლაში დიდ როლს შეასრულებს ფინანსური განათლების გავრცელებაში. კონკრეტულად კი მოხდება მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძება – წიგნების საშუალებით მოსწავლეები დაიწყებენ ფიქრს ფულზე, დანაზოგებზე, ბიუჯეტირებასა და ინვესტირებაზე. შეიძლება ბევრმა მათგანმა პირველად სწორედ იქ ნახოს ეს თემები. მოსწავლეები მიიღებენ პრაქტიკულ ცოდნას – ფინანსური რესურსები ასწავლიან ყოველდღიურ ცხოვრებაში საჭირო უნარებს: როგორ დავგეგმოთ ბიუჯეტი, როგორ ავირიდოთ ვალები, რა არის სარგებელი და რისკი. განუვითარდებათ კრიტიკული აზროვნება – სათანადო ფინანსური წიგნები მათ ასწავლიან ფიქრს, არჩევანის გაკეთებას და პასუხისმგებლობის აღებას. მოხდება სოციალური უთანასწორობის შემცირება – ფინანსური განათლება ეხმარება ბავშვებს, განსაკუთრებით რთული სოციალური ფონის მქონეებს, უკეთ დაგეგმონ მომავალი და ჰქონდეთ მეტი შესაძლებლობა. ✶ სკოლაში კუთხის მოწყობა და ფინანსური წიგნიერების რესურსების შემოტანა სასწავლო პროცესში ბევრ დადებით შედეგს მოიტანს სხვადასხვა ჩართულ მხარისთვის. კონკრეტულად კი

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



მოსწავლეებისთვის:

- გაუმჯობესებული პირადი ფინანსური მართვა – ისწავლიან როგორ დაგეგმონ ბიუჯეტი, დაზოგონ ფული დააგროვონ თანხა, პასუხისმგებლობით ისესხონ და ა.შ.
- გარდამავალი ცოდნა ცხოვრებისთვის – მზად იქნებიან რეალური ცხოვრების გამოწვევებისთვის (მაგალითად, სესხები, გადასახადები, შრომის ანაზღაურება).
- ზრდილი თვითდაჯერებულობა და დამოუკიდებლობა – ფინანსურად განათლებული მოსწავლე თვითონ იღებს გადაწყვეტილებებს, რაც ამცირებს მოტყუების ან ზედმეტი ხარჯვის რისკს.

მშობლებისთვის:

- დამხმარე ფუნქცია ოჯახში – ბავშვები ფინანსურად უფრო შეგნებულები ხდებიან და ოჯახში ფინანსურ დისციპლინას ამყარებენ.
- შემცირებული ეკონომიკური სტრესი მომავალში – ფინანსურად განათლებული შვილები ნაკლებად გახდებიან დავალიანების მსხვერპლნი.

მასწავლებლებისთვის:

- ინოვაციური და პრაქტიკული გაკვეთილები – ფინანსური განათლება იძლევა აქტიური სწავლის მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას (სიმულაციები, თამაშები, პრაქტიკული სავარჯიშოები).
- მოსწავლეების მოტივაციის გაზრდა – პრაქტიკული თემები მოსწავლეებს რეალურად აინტერესებთ და მეტად უჩნდებათ სწავლის მოტივაცია.

სკოლისთვის/საგანმანათლებლო სისტემისთვის:

- კომპეტენტური და მომზადებული მოქალაქეების აღზრდა – სკოლა აყალიბებს მოქალაქეებს, რომლებიც მომავალში უკეთ შეძლებენ ქვეყნის ეკონომიკაში მონაწილეობას.
- განათლების ხარისხის გაუმჯობესება – ფინანსური წიგნიერება ერთ-ერთია იმ უნარებიდან, რაც 21-ე საუკუნის განათლების სისტემაში მნიშვნელოვანია.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე. • შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ. • განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.
მიზნობრივი სეგმენტი <i>(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)</i>	მოსწავლეები
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	6 კვირა
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით <i>(თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე), მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება</i>	ინდივიდუალურად, თუმცა ინტეგრირებას გავაკეთებ სკოლის სხვადასხვა საგნის მასწავლებლებთან ერთად, რათა მოსწავლეებისათვის უფრო საინტერესოდ და მრავლისმომცველად წარიმართოს პროექტი
პროექტის/აქტივობის აღწერა <i>(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)</i>	პროექტი „ფინანსური განათლება სკოლაში“ მიზანი: მოსწავლეების ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლება აქტივობების კალენდარი: 1. კვირა: „ფინანსური თავგადასავალი“

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



მოსწავლეები ეცნობიან ფინედუს კუთხის შესაბამის ლიტერატურას, იყოფიან ჯგუფებად და ყოველ დღე კუთხე იცვლის თემასა თუ ატმოსფეროს, მაგალითად:

- „**დაზოგვის ზონა**“ – კუთხეში ლამაზად გაწყობილი ქილის სისტემა, ბავშვები არჩეულ მიზნებზე აგროვებენ ქულებს.
- „**საფინანსო ჯუნგლები**“ – ინტერაქტიული თამაშები და გამოცანები ფინანსურ ტერმინებზე.
- „**მეწარმეების ბაზარი**“ – მოსწავლეები ქმნიან თავიანთ ბრენდს და ატარებენ პრეზენტაციებს.
- და ა.შ. (ჯგუფები თავად ირჩევენ თემასა და ატმოსფეროს)

პ.ს. თუ ფინედუს კუთხეში არ აღმოჩნდება სათანადო ლიტერატურა პროექტის ფარგლებში მოხდება ლიტერატურის შეძენა და კუთხეში დამატება.

2. კვირა: რეალურ მოვლენებთან დაკავშირება

- მოსწავლეები გაეცნობიან წინასწარ მიცემულ შესაბამის ლიტერატურას და მიეცეთ საშუალება გამოთქვან თავიანთი აზრი — პატარა "ეკონომიკური ბლოგი" ფურცლებზე ან ვიდეოზე.
- კუთხეში პერიოდულად დაიკიდოს რეალური ეკონომიკური ამბების მიმოხილვა ბავშვების ენაზე („რატომ გაძვირდა შაქარი?“ ან „როგორ ხარჯავს ფულს სკოლა?“)
- მოეწყობა დისკუსიები

3. ინტეგრირება საგნებთან

- მასწავლებლები ჩაატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს შესაბამისი ლიტერატურის გამოყენებით. მაგალითად „მოგზაურობა ფულის სამყაროში“ ისტორიის გაკვეთილებზე მოსწავლეები გაეცნობიან ფულის ისტორიებს, ხელოვნების გაკვეთილებზე შექმნიან ესკიზებს, მოქალაქეობის გაკვეთილებზე იმსჯელებენ ფულის მნიშვნელობაზე, ქართულის გაკვეთილებზე დაწერენ ესეებს, თხზულებებს და ა.შ.
- მოსწავლეები ასევე დახატავენ კომიქსებს თემაზე: „რა ხდება როცა ფულს ფრთხილად არ იყენებ“ და სხვა
- შექმნიან საბანკო ბარათების საკუთარი დიზაინი ან "ფანტაზიური ფული", რომელსაც დააწერენ არჩეულ ღირებულებებს (მაგ. „მეგობრობა“, „დახმარება“).

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



- მათემატიკის გაკვეთილებზე შეადგენენ ბიუჯეტურ ხარჯთაღრიცხვას, დაზოგავენ და დააგროვებენ თანხას, რომლითაც დაეხმარებიან გაჭირვებულებს.

4. როლური თამაშები და სცენარები

- მოეწყობა კომიქსების მიხედვით როლური თამაშები.
- მოსწავლეები ასევე შეიტანენ საკუთარ მოსაზრებებს, ლიტერატურის გაცნობის შედეგად განიხილავენ სიტუაციებს, ფაქტებს, მოსაზრებებს, რაც კრიტიკულ აზროვნებასაც ავითარებს.

5. ვიქტორინები და თამაშები

- მოეწყობა ფინანსური წიგნიერების ვიქტორინა, სადაც მოსწავლეებს მიეცემათ შესაბამისი ლიტერატურა დასამუშავებლად, რომლის მიხედვითაც შეიქმნება კითხვები ვიქტორინისთვის
- მოეწყობა სამაგიდო თამაშები

6. მოტივაციის კუთხე

კედელზე დიდად გამოიფინოს მოსწავლეთა შეხედულებები „ფინედუს კუთხის“ შესახებ. მაგ. რა მოეწონა, რომელ ლიტერატურას გაეცნო, რასურჩევდა სხვებს და ა.შ., რათა სხვებსაც მისცეს მოტივაცია.

კედელზე დიდად გამოიფინოს მოსწავლეების ფინანსური მიზნები:

- "ვაგროვებ ფულს ველოსიპედისთვის"
- "ვცდილობ ყოველ კვირა დავზოგო 2 ლარი" და ა.შ.
- ყველას შეეძლება დააწეროს პროგრესი და სხვასაც მისცეს მოტივაცია.

პ.ს. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში და შესაბამისად ფინედუს კუთხის მოწყობის შემდეგ შესაძლებელია აქტივობების დამატება რესურსების გაცნობისა და გამოყენების მიხედვით.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში
ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ (მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეფასებით პროექტის წარმატებას)	შედეგები: ფინანსური ცოდნის გაუმჯობესება: - მონაწილეები უკეთ გაიგებენ ბიუჯეტირების, დანაზოგების, სესხებისა და ინვესტიციების საფუძვლებს. ფინანსური ქცევის გაუმჯობესება: - მომავალში დაიწყებენ ხარჯების კონტროლს, დანაზოგების გაკეთებას, გონივრული სესხების აღებას და ფინანსური მიზნების დასახვას. ფინანსური გადაწყვეტილებების ხარისხის ამაღლება: - შემცირდება არარაციონალური ფინანსური გადაწყვეტილებების რაოდენობა, მაგალითად, გადაჭარბებული ვალები ან სპონტანური ხარჯვა. გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობა: - ადამიანები უკეთ მოემზადებიან პენსიისთვის, კრიზისებისთვის და პირადი ფინანსების მართვისთვის. გაზომვის მეთოდები: კითხვარების/ტესტების ჩატარება: - პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ფინანსური ცოდნის ტესტები. - მაგალითები: ფინანსური ტერმინების ამოცნობა, სიტუაციური დავალებები. დროის განმავლობაში მონიტორინგი:

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში“ ფარგლებში
ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა



	შედეგების თვალყურისდევნება რამდენიმე თვეში ან წელიწადში ერთხელ, გრძელვადიანი ეფექტის შეფასება.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	პროექტის გაცნობა მოსწავლეებთან მოხდება ფინედუს კუთხის მოწყობისთანავე, მოხდება იდეების გენერირება, სათანადო რესურსების მომზადება. პროექტი კი განხორციელდება 2025 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, შეჯამება რომ მოხდეს დაზოგვის საერთაშორისო დღეს.